საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-938

21/11/2018

ქ. თბილისი

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. კუჭატანის მიმდებარედ სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კუჭატანის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება შემდეგი, რომ სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. კუჭატანის მიმდებარედ შპს „ყვარლის ბაგა“- ს საკუთრებაში რეგისტრირებულ ტერიტორიაზე. ყვარლიდან 7 კმ-ში. ჭაბურღილის სავარაუდო სიღრმეა 120 მეტრი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა შეადგენს 180 000m^3-ს წელიწადში.

წარმოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტის თანახმად აღნიშნული ჰორიზონტის წყლები ხასიათდებიან ქიმიური შედგენილობის დიდი ცვალებადობით. მათი სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. აღნიშნული მიწისქვეშა წყლების გამოყენება შესაძლებელია სამეწარმეო დანიშნულებით.

გეოსაინფორმაციო პაკეტის მიხედვით დამტკიცებულ იქნა ალაზნის არტეზიული აუზის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მიწისქვეშა წყლების მარაგები $A+B+C_2$ კატეგორიით. სალიცენზიო ჭაბურღილის საექსპლუატაციო მარაგი 180 000m^3 მოცულობა /წელიწადში წარმოდგენილია C_2 კატეგორიით.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, არტეზიული ჭაბურღილების წყლების შესწავლამ აჩვენა, რომ ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ფიზიკური შემადგენლობა აკმაყოფილებს სასმელი წყლების მოთხოვნებს. წყლის ტემპერატურა 13.5^{0}C-ია. მოპოვებული რესურსის გამოყენება შესაძლებელია სამეწარმეო დანიშნულებით.

ტერიტორია შესწავლილია კომპლექსური ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-

გეოლოგიური აგებგმვის მიზნით. სალიცენზიო ჭაბურღილი მდებარეობს ვაკე რელიეფის მქონე ტერიტორიაზე. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტი მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით წიაღით სარგებლობა მოცემული კოორდინატების საზღვრებში დასაშვებია, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა არ გამოიწვევს გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას. არ გამოიწვევს წყლის, ნიადაგის, მიწის დაბინძურებას, ნარჩენების წარმოქმნას, გარემოს დაბინძურებას.

ჭაბურღილის ახლოს არ მდებარეობს რაიმე სხვა პოტენციური დაბინძურების წყარო შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედება არაა მოსალოდნელი.

მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების პროცესში ხმაურის წარმოქმნას ადგილი არ ექნება. აღნიშნული საქმიანობა არ უკავშირდება რაიმე სახის მასშტაბური ავარიის ან კატასტროფის რისკს. საქმიანობა არ არის დაგეგმილი ჭარბტენიან ტერიტორიასთან, შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სახელმწიფო ტყის ფონდსა და დაცულ ტერიტორიებზე. ვიზუალური შეფასებით საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეების ძეგლი.

წარმოდგენილი დოკუმენტის შეფასებით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობა მნიშვნელოვან გარემოზე ზემოქმედებას არ გამოიწვევს და შესაბამისად არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილებისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. კუჭატანის მიმდებარედ სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო"-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ყვარლის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი

ორგანოს საინფორმაციო დაფებზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნოდარ კერესელიძე

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი